სტუდენტების ჯგუფური მუშაობის გაუმჯობესება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მაგალითზე

ნინო შუბითიძე, ნინო სარჯველაძე, გიორგი ბერიკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

მადლობა

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლის წარმომადგენელ პროფესორ-მასწავლებლებს და მოწვეულ პერსონალს, ასევე განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკის კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ჩართულობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ მაია ბიწაძეს, რომლის ჩართულობა და რეკომენდაციები კვლევის ყველა ეტაპის სწორად წარმართვისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო შუბითიძე

ნინო სარჯველაძე

გიორგი ბერიკაშვილი

18/06/2023

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების ჯგუფური მუშაობის გაუმჯობესების პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. ჩვენი კვლევის მიზანია იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებსაც ჯგუფური მუშაობის დროს აწყდებიან სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები და შევთავაზოთ მათ ჯგუფური მუშაობის გაუმჯობესების გზები, ვინაიდან ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევა უმნიშვნელოვანესია კურსდამთავრებულისათვის, რათა შეძლოს დასაქმება და თავის დამკვიდრება უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.

ნაშრომი შესრულებულია პრაქტიკის კვლევის მეთოდით, რაც ითვალისწინებს სადიაგნოსტიკო კვლევის ჩატარებას, ინტერვენციების შემუშავება/განხორციელებას და შემდეგ ინტერვენციების შეფასებას. კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა სადიაგნოსტიკო კვლევა, რისთვისაც კითხვარი გაეგზავნათ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს (როგორც ზოგადის, ასევე უმაღლესის მიმართულებით) და პროფესორ-მასწავლებლებს. კითხვარის მეშვეობით მოხდა მთავარი პრობლემების იდენტიფიცირება. კვლევის შედეგად ჯგუფური მუშაობის პროცესში იდენტიფიცირებული გამოწვევების შესაბამისად დაიგეგმა და ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები პირველკურსელებთან თან და პროფესორ-მასწავლებლებთან. ასევე, ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა მეორეკურსელებთანაც. ინტერვიუებისაგან მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე დადგინდა ის მთავარი გამოწვევები რომლებიც თან ახლავს ჯგუფურ სამუშაოებს, როგორებიცაა: ჯგუფში სტუდენტთა ინდივიდუალური წვლილის შეფასების სირთულე, ჯგუფის სამუშაო დროის კოორდინაციის სირთულე, ე.წ. “free-riding” და სტუდენტთა ჯგუფში მუშაობის სხვადასხვა დონის უნარ-ჩვევები.

პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ დაიგეგმა ინტერვენციები პროექტის ხელმძღვანელებტან შეთანხმებით, რომლებიც მოიცავდა სამუშაო შეხვედრის, ე.წ. ვორქშოფის ჩატარებას სტუდენტებთან ბელბინის როლების განაწილების მიხედვით და მათთვის საინფორმაციო ვიდეო-რგოლის მომზადებას, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ჯგუფური სამუშაოების მნიშვნელობასა და დადებითი ასპექტების თაობაზე. ვორქშოფის ჩასატარებლად შემუშავდა ტრენინგ-მოდული. ვორქშოფი ჩატარდა ოცდაორი პირველკურსელისათვის. ვორქშოფის ეფექტიანობის განსასაზღვრად რაოდენობრივი კითხვარი დაეგზავნათ ვორქშოფის მონაწილე სტუდენტებს. უკუკავშირი თორმეტი სტუდენტისაგან იქნა მიღებული.

განხორციელებული ინტერვენციების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტებმა მიიღეს საჭირო ინფორმაცია ჯგუფური მუშაობის წარმართვისა და მისი მნიშვნელობის თაობაზე, ასევე, გაიზარდა მათი ინტერესი ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვისა და როლების გადანაწილების შესახებ. მოცემული ინტერვენციები დაეხმარება როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს შემდგომი ჯგუფური სამუშაოების უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში, ჯგუფური მუშაობის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებასა და მუშაობის მეტად ეფექტიანად წარმართვაში.

საძიებო სიტყვები: ჯგუფური მუშაობა, უმაღლესი განათლება, თანამშრომლობითი სწავლება, კოლაბორაციული სწავლება, სტუდენტი

Abstract

The paper is the report of action research conducted to improve students' group work at the Educational Administration Master Program of Lepl – Ilia State University. The purpose of our research is to highlight the challenges faced by students and professors during cooperation with each other and to offer them ways to improve group work, since groupwork skill is very important for a graduate to get employment and establish himself/herself in the higher education field.

As the research followed action research format, problem diagnostic stage quantitative questionnaire was designed and distributed among students (from both: general and higher education direction) and professors. Through questionnaire main challenges of groupwork were identified. Also, in-depth interviews with the first-year students and faculty members were conducted along with a focus group with second-year students. Based on the analysis of the obtained results a number of challenges associated with groupwork were identified, such as: difficulty in evaluation of the individual contribution of students in the group, time coordination among group members, various level of group work skills of students and "free-riding".

Interventions were chosen with agreement of project managers that included organizing and conducting of a workshop with students according to Belbin team roles and preparing an informative video for them which contained information on the importance and positive aspects of groupwork. A training module was developed for the workshop, and conducted for 22 freshmen. To determine the effectiveness of the workshop, a questionnaire was distributed among the students who participated in the workshop that yielded twelve responses.

Based on the implemented interventions, it can be concluded that the students received the necessary information about managing groupwork and their interest towards groupwork planning and role distribution increased. These interventions may help both students and

professors in better planning and implementing groupwork in solving groupwork related problems and raising groupwork effectiveness.

Keywords: groupwork, higher education, cooperative learning, collaborative learning, student.